

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 14 ნოემბრის სხდომის

ოქმი N16

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 19. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინებ სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესს. სენატის წევრებს აღნიშნული წესი გადმოგზავნილი გქონდათ პირად მელზე და ალბათ გაეცანით. იგი შედგება 6 მუხლისაგან. სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესს ახლავს დანართი სტუ-ს ბიუჯეტით სავალდებულოდ დასაფინანსებელი ხარჯების ნუსხა. მოგმართავთ თხოვნით, თქვენი კეთილი ნების შემთხვევაში დაამტკიცოთ სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი სტუ-ს ბიუჯეტით სავალდებულოდ დასაფინანსებელ წარმოდგენილ ხარჯების ნუსხასთან ერთად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 14 ნოემბრის =16 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი სტუ-ს ბიუჯეტით სავალდებულოდ დასაფინანსებელ წარმოდგენილ ხარჯების ნუსხასთან ერთად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი -სტუ-ს შემადგენლობაში 2005 წლამდე არსებული საავიაციო ინსტიტუტის ამორტიზებული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინთ უნივერსიტეტის 2011 წლი 29 დეკემბრის =140 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 განკარგულებით სტუ-ს შემადგენლობაში 2005 წლამდე არსებულ საავიაციო ინსტიტუტის ძირითადი აქტივების იმ ამორტიზებული ნაწილის ჩამოწერის ფორმებს (=2, =3), რომელიც დღემდე იმყოფება სტუ-ს ბალანსზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 14 ნოემბრის =16 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს შემადგენლობაში 2005 წლამდე არსებული საავიაციო ინსტიტუტის ამორტიზებული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა სტუ-ს ადმინისტრაციას სტუ-ს შემადგენლობაში 2005 წლამდე არსებული საავიაციო ინსტიტუტის იმ ამორტიზებული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ, რომლებიც დღემდე იმყოფება სტუ-ს ბალანსზე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი -სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ზვიად ბაბაჯანაშვილის განცხადების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება =806 – მომხსენებელი პროფ. ანზორ აბშილავა.

პროფ. ანზორ აბშილავა: ზვიად ბაბაჯანაშვილი არის აზერბაიჯანის მოქალაქე, ინგილო, რომელმაც ჩვენთან ჩააბარა გამოცდები უმაღლესი პროფესიული განათლების მისაღებად. იგი არ იყო გადახდისუნარიანი და განათლების სამინისტრომ მოგვმართა თხოვნით, რომ მისთვის, როგორც ინგილოსთვის, გაგვეწია შეღავათი. დღეს მისი საფინანსო დავალიანება შეადგენს 3900 ლარს და მის ოჯახს არ შეუძლია გადაიხადოს ეს თანხა. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო დადგენილება, რომ ზვიად ბაბაჯანაშვილს საფასურის გადახდის გარეშე მიეცეს უმაღლესის დამთავრების დიპლომი.

სპიკერი: ვფიქრობ, ეს საკითხი სენატმა უნდა გადაწყვიტოს დადებითად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 14 ნოემბრის =16 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ზვიად ბაბაჯანაშვილის განცხადების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება =806.

სენატმა გადაწყვიტა: დაკმაყოფილდეს საინგილოს მკვიდრის, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ზვიად ბაბაჯანაშვილის თხოვნა და მას დარჩენილი 3900 ლარი (სამი ათას ცხრაასი) სწავლის საფასურის გადახდის გარეშე მიეცეს უმაღლესის დამთავრების დიპლომი.

პროფ. მერაბ ახოზაძე: შემოვდივარ წინადადებით, რომ სენატის წევრებისგან შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტუ-ს შემოსავლების ეფექტური მართვისა და განაწილებისათვის.

სპიკერი: მისაღებია თქვენი წინადადება ბატონო მერაბ. დაგვისახელეთ წევრები, ვისაც მოიაზრებთ თქვენს სამუშაო ჯგუფში.

პროფ. მერაბ ახოზაძე: მზია მილაშვილი, დავით ნოზაძე, ნაზი კუციავა, ჯუმბერ იოსებიძე, ბადურ ჭუნაშვილი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა პროფ. მერაბ ახოზაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 14 ნოემბრის =16 სხდომაზე პროფ. მერაბ ახოზაძემ წარმოადგინა წინადადება იმის თაობაზე, რომ სენატის წევრებისგან შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტუ-ს შემოსავლების ეფექტური მართვისა და განაწილებისათვის.

სენატმა გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს პროფ. მერაბ ახოზაძის წინადადება და შეიქმნას აღნიშნული სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემდგენლობით: მერაბ ახოზაძე – სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, მზია მილაშვილი, დავით ნოზაძე, ნაზი კუციავა, ჯუმბერ იოსებიძე, ბადურ ჭუნაშვილი.
2. სამუშაო ჯგუფმა წინადადებები წარმოადგინოს პირველი დეკემბრისათვის.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი